№ 198 23 სეკდემბერი, ოთხშაბათი. 1866—1881 23 სეკდემბერი, ოთხშაბათი. № 198

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გლეხინის ბრანსფექტზეო. ოკ. მეზრანსკის ხახლებში. კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“, „ეგერიაში“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში-ეგერიაში“ აგენტთან ი. ჭეანიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“ და „ეგერია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ეგერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივად ასო შთავრდელით ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივად ასოასოზე შეთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივება მოითხოვს, რედაქციას ვაძლევთ, და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტითაც დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„ეგერიაში“ აგენტთან.

ერთ ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

„ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

ქანტორა იმყოფება ტუზნეცის ხიდზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის საეჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

ხარკოვში—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
თბილისში—ბალაევინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
სებასტოპოლში—ბალშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის ბოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე **პეტერბურღში, ვარშავაში** და **კიევში** ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში ბრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—19)

ტელეგრამა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის ხაგენტობა“)

პეტერბურღის ბირჟა, 21 სექტემბ.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა —	96	—87
მეორესი — — — —	93	—87
მესამესი — — — —	94	—12
მეოთხესი — — —	93	—62
ალმოსავლეთის პირვ. —	91	—25
ალმოსავლეთის მეორე	91	—12
ალმოსავლეთის მესამე	91	—25
ოქრო, 1/2 იმპერიალი	7	—65

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	226	—25
მეორე სესხის — —	220	—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— 25	—94	პენსი
ბერლინი	— „	— „	პფენიგი
ამბურღი	— 221	—25	ცენტი
პარიჟი	— — 274	—25	სანტიმი
ტაკაბის კერასინი	— —	—	

არხეოლოგიურ კრების გათავება.

თბილისი, 22 სექტემბერს.

ბუშინ უკანასკნელი სხდომა იყო არხეოლოგიურ კრებისა. დღეს უცხო ქვეყნიდამ მოსული სტუმრები თავთავიანთსა მიემგზავრებიან.

მეუბნებით ამათ ქართველურ „შვიდობითს“ და გზას დაულოცავთ. ღმერთმა ჰქნას, რომ იმათ აქ ყოფნას, ამ ორი კვირის თითქმის გაუწყვეტელ მუშაობას სარგებლობა მოეტანოს მეცნიერებისა და ჩვენის ქვეყნისთვისაც.

ორი კვირა დარჩნენ ისინი ჩვენს ქალაქში. ამ ორი კვირის განმავლობაში ჩვენ, რითაც შეგვეძლო, ვუმტკიცებდით ჩვენს თანაგრძნობას და დახმარების სურვილს, როგორც პირადად ამათ, აგრეთვე იმ საგანს, რომლისთვისაც ისინი აქ იყვნენ შეკრებილნი. თითქმის მუდამ დღე იმათ კრებებზე 300-400 და ხან მეტი ხალხი, კაცი და ქალი, დაიარებოდა და თვალყურს ადევნებდა მეცნიერულ მსჯელობას და საუბარს; ჩვენი თითოეული მეცნიერი გზას უჩვენებდნენ, წინ მიუძღოდნენ იმათ, როცა ადგილობრივს რასმე იკვლევდნენ; აქაც და ბუთაისშიაც ბიწვევა, პატივისცემა და მასპინძლობა, რამდენათაც შეგვეძლო, არ დავაკელით; ერთის სიტყვით, ყველანი თავს ვევლებოდით.

თვითონ სტუმრები, არხეოლოგები აღტაცებულნი ბრუნდებიან შინ, არა თუ მარტო ჩვენის ბუნების სიმშვენიერითა და სიმდიდრით, არა თუ მარტო არხეოლოგიურის მხრით სიმდიდრითა, არამედ ჩვენის გულ-უხვობით ჩვენის სტუმართ-მოყვარეობით, ჩვენის თანაგრძნობითა და პატივისცემით. „ასე კარგათ არც ერთს წინა ოთხ კრებაზე არ ვყოფილვართ მიღებულიო! არც ერთს სხვა ქალაქს და ხალხს არ გამოუცხადებიათ ჩვენთვის იმდენი თანაგრძნობა, რამდენიც აქ გამოგვიცხადესო!“ ეს არის იმათი საკუთარი სიტყვები.

რა არის ამის მიზეზი? **რათ** თანაუგრძნობდა ჩვენი ხალხი ასე მხურვალეთ არხეოლოგებს?

ადვილად გასაგებია ეს მიზეზი:

არხეოლოგია ძველებურ დროს იკვლევს, ძველ ხალხების ცხოვრებას, ზნეს, ხასიათს, იმათ განათლებასა და ხელოვნებას, ჩვეულებას, მოღვაწეობას. **და** ჩვენი აწმყო ისეთია, **რ**ომ, თუ ამ ძველზე არ დავმყარდით, თუ ეს ძველი არ შევისწავლეთ, თუ ჩვენი წარსული არ გავიცანით, უამისოთ ჩვენი წარმატება, ჩვენი მომავალი ცხოვრება შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

მხოლოთ „უკუდო ლიბერალები,“ მხოლოთ გონებით ბრმანი ამბობენ, **რ**ომ წარსულთან ჩვენ არაფერი კავშირი არ უნდა გვქონდესო, ამ წასულს ფარდა უნდა მივაფაროთო, და მომავალს უნდა შეუდგეთო.

ისტორიკოსებმა დიდი ხანია დაამტკიცეს და ჭიშმარიტებად ჩათვალეს, **რ**ომ ხალხი, **რ**ომელიც თავის წარსულთან კავშირს გასწყვეტს, **რ**ომელიც თავის წარსულ ისტორიას დაივიწყებს, ის ხალხი, ადრე იქნება თუ ვვიან დაისჯებაო, ვერასოდეს ვერ გაიხარებს, თავის ნაციონალურ სახეს დაკარგავსო.

იმიტომ მივეგებეთ ჩვენ ასეთის თანაგრძნობით არხეოლოგიურ კრებას, **რ**ომ ეს მეცნიერთა კრება ცდილობს ჩვენ წარსულთან გაცნობას, ჩვენ ძველ ცხოვრების გამოკვლევას; და ამით ის ეხმარება ჩვენ მომავალ წარმატებასა და კეთილ-დღეობის გზაზე დაყენებას.

აი ამიტომაც ასე გულ-ნაკლულად ვეთხოვებით ამათა და წმიდის გულის, ძმურის თანაგრძნობით მადლობას ვსწირავთ იმ ღვაწლისითვის, **რ**ომელიც იმათ ჩვენის სამშობლოს შესწავლისათვის დასდეს...

ქართული წარმოდგენა არხეოლოგებისათვის.

წუხელ საღამოს ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ გამართა წარმოდგენა, **რ**ომელზედაც მიპატიჟებულნი იყვნენ არხეოლოგიურ კრების წევრნი.

რადგან სტუმრები უცხო ქვეყნის ხალხი იყო, **რ**ომელთაც ქართული არ ესმოდათ, ამისათვის ითამაშეს უფრო თვალთათვის საჩინო პიესები და ისეთი სცენებიც წარმოუდგინეს, **რ**ომლებშიაც ჩვენი ხალხის ზნე და ხასიათი იხატებოდა.

„ბიძიასთან გამოხუმრება“, „მათიკო“ და „**რ**აც გინახავს, ეველარ ნახავ!“ სწორეთ ამ გვარი პიესები არიან. „მათიკოსი“ წარმოადგინეს მხოლოდ მესამე მოქმედება და პირველი მოქმედება პიესისა „**რ**აც გინახავს, ეველარ ნახავ!“

თითქმის ყველა ტიპები ჩვენის ცხოვრებიდამ გამოყვანილია ამ პიესებში: არის ძველი მებატონე თავადი, გლეხი, სომეხი, გლეხის ქალები, და სხვ. და სხვ.

და რამდენათაც ეტყობოდათ, სტუმრები მართლა კმაყოფილნი დარჩნენ წარმოდგენისა; თუმცა არა ესმოდათ-რა, მაგრამ თვალით ჰხედავდნენ და ესმოდათ—თუ რა ამბავი ხდებოდა სცენაზე. ვ. აბაშიძის (სომხის როლში), ქალბ. აბაშიძე—საფაროვისა („ბიძიასთან გამოხუმრებაში“) და ნ. ბაბუნიას (მოხუცებულ დედა-კაცის როლში) თამაში მხურვალე ტაშის ცერით დაასაჩუქრეს სტუმრებმა.

მეორე ანტრაქტის წინ თ. აკაკი წერეთელმა თავისებურის გრძნობით წაიკითხა ის ლამაზი ლექსი „სალამი“, **რ**ომელიც გუშინდელს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი. სტუმრები აღტაცებულნი იყვნენ თ. აკ. წერეთლის კითხვის მანერითა და ქართულ ენის გარმონიით. ამათ დაურიგდა ეს ლექსი ქართულად და რუსულად ნათარგმნიც, ცალკე თაბახზე დაბეჭდილი.

თ. აკაკის შემდეგ გამოვიდა თ. დ. ერისთავი და ამანაც ჩინებულად წაიკითხა ბატ. ხარჭევსკისაგან ამ შემთხვევისათვის დაწერილი რუსული ლექსი, **რ**ომელიც აგრეთვე დაურიგეს არხეოლოგიურ კრების სტუმრებს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე ჩვენებურმა ლეკურმა. **რ**ალაც ბედათ ისეთი მოლეკურეებიც მოგროვდნენ ამ საღამოს, **რ**ომ, არათუ სტუმრებს, სვენც გაგვაკვირვეს თავიანთ ფეხის მოქნილობით და გრაციით. ამ მოთამაშეებში პირველი ადგილი ეჭირათ თ. ტ. ვ—ს, ჩ—ოვს, ფ—ს, ა—სას და ა. მ—ეს.

ნ. ბაბუნიას სიმღერაც ძალიან მოეწონათ, თუმცა ამ საღამოს ეს ჩვენი მომღერალი, **რ**ოგორც ეტყობოდა, გუნებაზე არ ყოფილა და თავისებურის ეშხით ვერ მღეროდა.

წარმოდგენის გათავების შემდეგ, სტუმრები ბუფეტში იყვნენ მიპატიჟებულნი, სადაც იმათ ცივი ვახშამი ჰქონდათ დამზადებული. აქ თ. აკაკი **წ**ერეთელმა ქართველ **ს**აზოგადოების—მასპინძლების მხრით უთხრა სტუმრებს მოკლე სიტყვა, **რ**ომელიც საუბედურეთ ჩვენ დღეს აქ ვერ მოგვეყავს.

ამ სიტყვის პასუხად გრაფ **შ**ვაროვემა სთქვა მოკლე სიტყვა, **რ**ომელშიაც ის აზრი გამოხატა, **რ**ომ ეს თქვენი ძველის-ნაშთებით მდიდარი ქვეყანა სწორეთ იმისთანა სტუმრის-მოყვარე ხალხით ყოფილა დასახლებული, **რ**ოგორც ამის სიმშვენიერეს შეჰფერის და **რ**ოგორიც საჭიროაო ამ ველ ნაშთების გამოსაკვლევადო, **რ**ადგან ვერც მთავრობა და ვერც კერძო პირი, თუ თვითონ ხალხი არ დაეხმარა, აქ ვერას გააწყობსო. **და** ამ პატივისცემისა და თანაგრძნობისათვის განუსაზღვრელ მადლობას გწირავს თქვენ ჩვენი კრებაო.

ბრ. **შ**ვაროვის შემდეგ, მოსკოვის უნივერსიტ. პროფეს. ილოვაისკიმაც სთქვა რამდენიმე სიტყვა ქართველ და რუსის ხალხის მსგავსებაზე: თქვენც ისეთივე აღტაცებული, პურ-მარილიანი, გულ-ღია ხალხი ყოფილხართ, **რ**ოგორც ჩვენაო და ამის გამო იმე-

დიაო, რომ ამ ორი ხალხის ერთობა მარტო გარეგან ძალაზე არ იქნება დამყარებული, ხასიათობის ერთობაზედაც იქნებაო. ბოლოს ამანაც მასპინძლების სადღეგრძელო დალია.

პროფესორმა ბარკავიმ დალია სადღეგრძელო კავკასიის ორი უმთავრესი ხალხის—ქართველებისა და შემოსულ სომხების წარმატებისათვის.

პროფ. ჩუბინოვმა — ქართულ თეატრისა და სცენის მოღვაწეების დღეგრძელობისათვის დალია.

ამათ გარდა საზოგადოთ ქართველებისა და ამ საღამოის მასპინძლების სადღეგრძელო დალია ბ. მეიჩიკმა და სხვ.

ნაშუალამევის მეორე საათამდინ გაგრძელდა შამპანისა და კახურის ღვინის სმა, სიმღერები და შექცევა. მეორე საათზე სტუმრები და მასპინძლებიც დაიშალნენ, ორივე კმაყოფილნი.

ახალი ამბები.

მომეტებული ნაწილი არხეოლოგიურ კრების ჩამოსულ წევრებისა დღეს წავიდნენ რუსეთში და სამზღვარ გარეთ. ამბობენ მხოლოთ, რომ გამოჩენილი პროფესორი ბერლინის უნივერსიტეტისა ვირხოვი და გრაფი უვაროვი ქახეთში აპირებენ წასვლას და ამ ქვეყნის ძველ ნაშთების დათვალიერებასაო.

* * *

კავკასიის მთავრობას, უუმართებულის სენატის გარდაწყვეტილებით, მინდობილი აქვს შემდეგი ღონისძიების ხმარება ფილოქსერის მოსასპობელად:

1) დაათვალიეროს ყველა ვაზები; საცა ფილოქსერა აღმოჩნდება, შეუდგეს ამის მოსპობას და ანუ მთელის ვინახის აჭრას ან გადაწვას;

2) ვინახის პატრონებს უნდა აღუკრძალონ, რომ თვითონ უწამლონ ფილოქსერით ავათმყოფ ვაზს, ეს საქმე ფილოქსერის კამიტეტმა უნდა ითავოს.

3) ველას აღკრძალული უნდა ჰქონდეს ყიდვა და მოტანა ვაზის და აგრეთვე ხილის ნერგებისა იმ ქვეყნებიდამ და ადგილებიდამ, სადაც ფილოქსერა ეგულებათ და სხვ.

* * *

ამ თვის 13-ს ბათუმში, ადგილობრივ ღუბერნატორის ღენ.-მაიორის სმეკალოვისა და ბევრი სხვა წარჩინებულ პირთა თანა-დასწრებით, გაუხსნიათ და უკურთხებიათ სამ-კლასიანი სასწავლებელი.

* * *

დღეს, 22 სექტემბერს, მთაწმინდის მაედანზედ, თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის ბატ. სტადლინის სადგომში, დილის 11 საათზე ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა, ვიქტორ ბორმჩევსკიმ სიცოცხლის მოსპობის განზრახვა მოინდომა, მაგრამ ვერ შეასრულა კი: მარცხენა ვვერდში დაეკრა კალმის დანა სულ ძირამდის. ადგილობრივმა პოლიციამ სიჩქარით წაიყვანა ქალაქის საავათმყოფოში.

* * *

ჩვენ მივიღეთ ფოთი-თფილისის რკინის გზის ერთი სტანციიდამ შემდეგი შენიშნვა:

„ბევრი რამ უსამართლობა ხდება ამ ფოთი-თფილისის რკინის გზაზედ; გაზეთშიაც ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ სამწუხაროდ არ გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც დაწერილებით აეწერათ ყოველივე გარემოება, ყოველივე უწესობა და უსამართლობა — თუ რაში მდგომარეობს, რადგანაც გარეშე პირებმა გარემოება დაწერილებით არ იციან და მოსამსახურეები ისე დაშინებული არიან, რომ გაზეთში ამის დაწერას ვერ ბედავენ და თუ ვინმემ გაბედა რაიმეს დაწერა, ვისაც ეხება, რკინის გზის უფროსებთან იჩივლებს და უფროსი საქმის გამოუძიებელად ისტუმრებს დამწერს სამსახურიდგან და თვითონ უფროსები კი არ იხილვენ საქმეს.

„16 ენკენისთვეს მე მოვდიოდ თფილისიდგან საღამოის მატარებელით და როდესაც მიველით სურამის სტანციაში, ვიღაც კონტროლიორი ჩამოჯდა ვაგონში და ნახა ცხრა სალდათი უბილეთოთ მიმავალი; კონტროლიორმა კითხა—სად მიდიხართ და რათ ჩამჯდარხართ უბილეთოთო. ამ კითხვაზედ სალდათებმა განაცხადეს, რომ ოგინი მიდიან ფოთში და რაც შეეხება მას, რომ ბილეთები არა აქვთ ეს მოხდა მათის შეცდომით: ერთს იმათ უმფროსთაგანს ჰქონია მინდობილი, რომ ეყიდნა ბილეთები მიხაილოვის სტანციიდგან ფოთამდის და იმას, სიმთრალის გამო, უყიდია სურამამდის. ყოველივე ეს გარემოება კონტროლიორმაც გაიგო, მაგრამ მაინც მიმართა მთავარ-კონდუქტორს დიდათ გაჯავრებული, და უთხრა, რომ შენი მოხერხება უნდა იყოს ეს საქმეო.

„ამ უკანასკნელ დროში გამოვიდა ერთი ცირკულიარი რკინის გზის უპრაველენიიდგან, რომელშიაც აღწერილია—როდის და რამდენი პასსაჟირები რომელს კონდუქტორს წარუდგენია სტანციის უფროსებთან უბილეთოთ მიმავალი ფულების გარდასახდელად და ამ ნაირად ვისაც მეტი გამოუვიდა წარდგენილი პასსაჟირები, იმას დიდ შენიშვნას აძლევენ და აფრთხილებენ შემდეგისათვის, რომ სამსახურიდამ დათხოვნილი იქნება. საკვირველია ეს ამბავი! რა მიზეზი უნდა ჰქონდეს საწყალ კანდუქტორებს? პასსაჟირები ჯდებიან ვაგონში, კანდუქტორს არა აქვს ნება ჰკითხოს პასსაჟირს ვაგონში შესვლის დროს, აქვს თუ არა მას ბილეთი, და თვით პასსაჟირს შუბლზედ არ აწერია? თუ მეტი ნდობა არა აქვს რკინის გზის ადმინისტრაციას კანდუქტორებისა, საჭიროა გამოიგონონ სხვა რამ საშუალება და ამ გვარ შენიშვნისაგან დაფარული იქმნენ კონდუქტორები.

არხეოლოგიური კრება.

21 სექტემბერს

დილით ა. ბ. ალმაროვმა წაიკითხა დერბენტზე და დერბენტიდამ მოყოლებულ კავკასიის კედლებზე. სთქვა რომ ეს კედლები იმ დანიშნულებით არის აშენებული რა დანიშნულებითაც არის აყვანილი ჩინეთის კედლები, ესე იგი ჩრდილოეთიდამ მომავალი მტრებისგან თავის დასაცველათ. ის აზრი ვითომ ეს კედელი ალექსანდრე მაკედონელისგან იყოს აშენებული უსაფუძვლო არის...

შემდეგ წაიკითხა ბატ. ერიცოვმა ავდეევის რეფერატი, რომელშიდაც პატივცემული პროფესორი ამტკიცებს რომ ქართული და სომხური ეკლესიების პლანი ბიზანტიის ეკლესიების წაბაძვა არის მაგრამ ზოგიერთს ეკლესიებში ამ პლანს ცოტა ცვლილება აქვს.

ბატ. ვ. მიქელაძემ მოახსენა ყრილობას, რომ ბათუმის და ყარსის ძხარეში ყოველგან დარჩენილა ძველი საქართველოს ნაშთი ძეგლი; ეს ამტკიცებს, რომ ეს მხარე საქართველოს ნაწილი იყო ძველათ და არა სომხეთის, როგორც ზოგიერთები შეცდომით ამბობენ. ბატ. ერიცოვმა ამის წინააღმდეგ ილაპარაკა, რომ მართალია ეს ძეგლები არის, მაგრამ ეს არ ამტკიცებს, იქ საქართველო იყოს, როგორც ულის-ციხის პირდა-პირ ძველათ ძველი კლდეში გამოჭრილი ეკლესია სომხურის წარწერით არ ამტკიცებს, რომ ზორის უეზდი სომხეთი იყოს.

დასასრულ სომხის არხიმანდრიტმა სტეფანემ წაიკითხა რეფერატი სომხეთის სახალხო განათლებაზე მეთერთმეტე საუკუნის წინათ.

საღამოს იყო უკანასკნელი სხდომა კრებისა. ამ სხდომაზე სხვა-და-სხვა კამისიამ მოახსენა ყრილობას, როგორ უნდა დაიბეჭდოს კრების შრომა (მაიკოვი) როგორ უნდა შედგეს რუსეთის არხეოლოგიური კარტი, (ტიზენგაუზენ) როგორ უნდა მოხდეს კავკასიაში ანტროპოლოგიური გამოკვლევა, (სმირნოვი) როგორ უნდა აღეკრძალოს ცალკე პირებს საფლავების გათხრა და სხვ.

ბატ. უვაროვმა წინადადება მისცა კრებას და კრებამ გადაწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობასთან არხეოლოგიური საზოგადოების დაფუძნება თბილისში და ამასთან ერთი პირის დანიშვნა კავკასიის მუზეუმთან არხეოლოგიური კოლლეკციის დასაცველათ.

დ. ი. ჯაფარიძისამ წარმოთქვა ჰაზრი, რომ არხეოლოგიური გამოკვლევის საქმე რიგიანათ ვერ წავა კავკასიაში, სანამ აქ უნივერსიტეტი არ დაფუძნდება, რადგანაც ახლა არხეოლოგიურ გამოკვლევას მარტო ჩინოვნიკები ეწყობიან და ჩინოვნიკებს არც დრო აქვთ და არც ცოდნა ამ საქმისა. ამისთვის კარგი იქნებოდა არხეოლოგიურმა კრებამ იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ კავკასიაში დააფუძნონ უნივერსიტეტი.

შემდეგ მოხსენდა კრებას ადესის სამოსწავლო საზრის მზრუნველის ტელეგრამმა, რომლითაც ნოვოროსსიის (ადესის) უნივერსიტეტის რჩევა ითხოვს შემდეგი არხეოლოგიური კრება დანიშნულ იქმნას ადესაში. კრებამ ეს ჰაზრი პატივ-დებაში მიიღო.

შემდეგ ბატ. მაიკოვმა წაიკითხა გრაფ უვაროვზე და მის ღვაწლზე; სამოკვასოვმა სთხოვა ყრილობას კრების სახსოვრათ და სამადლიეროთ მიეცეს ბატ. უვაროვს ოქროს მედალი. კრებამ ერთ-ხმათ გადასწყვიტა ამ მედალის მიცემა.

აგრე გათავდა, თოთხმეტი დღის მუშაობის, ნადიმის და „სიტყვების“ შემდეგ მეხუთე არხეოლოგიური კრება.

გამოსათხოვარი სადილი არხეოლოგიის კრების წევრთათვის.

20 ენკენისთვეს არხეოლოგიურ კრებას მთავარ-მართებლის სასახლეში მთავრობამ გაუმართა გამოსათხოვარი სადილი. ოთხ რიგი სუფრა, მთელი ზალის გამწე, მშვენიერათ იყო მოროთული. მასპინძელი, თ. ლ. ი. მელიქოვი, იწვევდა სტუმრებს.

მეშვიდე საათზედ 260 სული შემოუსხდა სუფრებს. ხელმწიფის სურათის ქვემოთ დაბრძანდა თ. ლ. მელიქოვი, ამის მარჯვნივ საქართველოს ექსარხოსი და მარცხნივ კრების თავსმჯდომარე ა. ვ. ალმაროვი. ექსარხოსის მარჯვნივ ისხდნენ: თ. ლ. მელიქოვის მეუღლე და გრაფ ა. ს. უვაროვი, მარცხნივ, ალმაროვის მეუღლე, გრაფინია უვაროვისა და თ. ბრიგ. დ. ორბელიანი და დანარჩენი სტუმრები. მესამე თავი საჭმლის შემდეგ თ. ლ. მელიქოვმა წარმოსთქვა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო. საერთო „ურა“. თ. ლ. მელიქოვმ ხელ-მეორეთ წარმოსთქვა ამ კრების საპატიო თავსმჯდომარის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის სადღეგრძელო. „ურა“ აქაც. ამის შემდეგ თ. მელიქოვმავე გულითადი მადლობა განუცხადა ყველა იქ შეყრილ მეცნიერთ და წარმოსთქვა მათი სადღეგრძელო. ა. ვ. ალმაროვმა გამოხატა მხურვალე მონაწილეობა, რომელიც თ. მელიქოვმა მიიღო ამ კრების წარმატებისათვისაო და დალია მისი სადღეგრძელო. ბრაფ უვაროვმა სთქვა, რომ ამ სადღეგრძელოში კნეინა მელიქოვისაც მონაწილეაო. დალიეს ა. ვ. ალმაროვის სადღეგრძელოც. წამოდგა თ. ბრიგ. დ. ორბელიანი და მხურვალე სიტყვებით გამოხატა მნიშვნელობა ამ მეცნიერების შეკრებისა ქ. თფილისში. ლირსეულმა პოეტმა აღტაცებით დამღერა მეცნიერებას, მის წარმომადგენელთ დ

დაათავა სიტყვა გრაფ ა. ს. შერეროვის სადღეგრძელოთი. შეჰსწყდა თუ არა აღტაცებული ტაშის-კვრა, წამოდგა პროფ. ჩუბინაშვილი და გრძელი სიტყვით მიმართა შეკრებილებას საქართველოს და რუსეთს შუა ისტორიულ დამოკიდებულებაზედ და წარმოსთქვა სადღეგრძელო ქართველებსა და რუსებს შუა მტკიცე ზნეობითს კავშირზედ. დალიეს დ. ს. სტაროსელსკის სადღეგრძელო. ამის შემდეგ ადგა პროფესორი დ. ი. ილოვაისკი და სთქვა შემდეგი.

„მმ. ხხ. ამ არხეოლოგიურ კრებისა და ამ პატივისცემის გამო, რომელიც მიიღეს აქ არხეოლოგოსებმა ამ საქართველოს დედა-ქალაქში, ნება მომეცით მოგაგონოთ თქვენ მოკლეთ ის კავშირი, რომელიც იყო ამ საქართველოს ძველ სატახტო ქალაქსა და რუსეთს შუა.

„საქართველოს ისტორია მდიდარია, სავსეა მუდამ სხვა-და-სხვა ცვლილებებით და შემთხვევებით. ამ ისტორიაში ნახავთ თქვენ ბედნიერ და უბედურ დროსაც. დიდებისა და ბრწყინვალების საუკუნეთ ითვლება თამარ მეფის დრო, როდესაც საქართველო იყო განკერძოებული პოლიტიკურის მხრით, გარეგან ბრწყინვალებით და შინაგან განათლებით. როგორც საზოგადოთ არის ხოლმე ხალხის ცხოვრებაში, საქართველოს ლიტერატურაც, პოეზიაც და ხელოვნებაც ამ საუკუნეში აღორძინდა თამარის დროს გამოვიდა შესანიშნავი თხზულებანი გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და პოეტებისა, რომელთ თავში სდგას შოთა რუსთაველი, დამწერი შესანიშნავი პოემის „ვეფხის ტყაოსნისა“.

„მაგრამ მერე კი შეიქნა შინაგანი არეულობა და ამას დაემატა გარეგან მტერთაგან თათრებისა, თურქმენებისა, სპარსელებისა და ლეკებისაგან შეიწროება საქართველოსი.

„მეთვრამეტე საუკუნის გასულს მოხდა შემთხვევა, რომელმაც ძრიელ წაჰწია წინ აზრი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ეს იყო მეხი, რომელიც დაეცა თფილისს და საზოგადოთ მთელს საქართველოს.

„სპარსეთის შაჰი აღა-მაჰმად-ხანი დაეცა საქართველოს. 1725 წ. თფილისი ერთიანათ აოხრდა“.

შემდეგ პროფესორმა მოიყვანა ისტორიული ფაქტები—თუ მეფე ირაკლიმ და ამის შემდეგ მეფე გიორგიმ როგორ სთხოვეს რუსეთის იმპერატორს პავლე პირველს საქართველოს მიღება თავის მფარველობის ქვეშ,—როგორ შეუერთდა საქართველო რუსეთს იმპერატორის ალექსანდრე პირველის დროს (მანიფესტი 12 სექტ. 1801 წ.), სწორედ 80 წლის წინათ ღა სხვ. და გაათავა იმით, რომ რუსეთისა და საქართველოს შეერთება მტკიცე და სამუდამოთ შეურყეველი იყოსო.

ილოვაისკის შემდეგ ილაპარაკეს აკადემიკოსმა ბროტმა და სხვებმა; დალიეს სადღეგრძელო ვირხოვისა, ქასტამაროვისა და სხვებისა.

სადილი ცხრის ნახევარზე გათავდა.

„დროების“ კორესპონდენცია

სოფ. ქარელი, სექტემბერს. ამ მცირე ხანში მე მომიხდა სოფელს ქარელში მოსვლა ერთ ჩემს მეგობარს ციციშვილთან; აქ შემოვიდნენ რაშოდენიმე პირნი ციციშვილები. ცოტახანს შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი ამ ც—შვილების ერთმანეთ შორის უწესო მოქმედებაზე. ამ ლაპარაკიდამ მე შევიტყე შემდეგი:

ველას კარგათ მოეხსენებათ როგორი ძვირფასი შემოსავლის მადანიც არის საციციანო მთა. ამ ც—შვილებს ჰქონიათ ეს მთა განუყოფელად. მიდრემ წინაპარნი მამა-პაპანი მათი ყოფილან ცოცხალნი ისეთი წესიერი წესდება ჰქონიათ, რომ არც ერთი ამათგანი უწილ-კერძოთ არა რჩებოდა. ამ საუკუნეში კი ისეთ მდგომარეობაში შთაცვინულან, რომ თვითეულ მანეთსაც ველარ სცნოდენ ამ მთის შემოსავლის მონაწილეობაში, და არიან ერთ გაუთავებლობაში და ჩხუბში. ხსენებულთ გვარში გამორეულან მხოლოდ ექვსი ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც მრავალს გვარს უწესოებას სჩადიან თურმე: ესენი სამს პარტიათ არიან გაყოფილნი. თვითეული მხარე ცდილობს მთელი შემოსავალი ხსენებულ მთითა მიითვისოს, როგორც კი მოახერხებს და როგორც-კი შეიძლებს.

ფიცი ამათი ის არის და იმაში მდგომარეობს თურმე, რომ იმათ არც ერთმა მამულის დანაშთენი მონაწილენი არც ასაღებში და არც შემოტანაში არ გაირიონ და არც წილ-კერძი მისცენ და მხოლოდ თვითონ ისარგებლონ.

ხსენებულს მთას აქეს სამზღვარ აღმოსავლეთით ჯავახოშვილების მთა, დასავლეთით ბორჯომის მთის სამზღვარი, სამხ. სახელმწიფო მთა სახელდობრ თავკვეთილი; ხოლო ჩრდილოეთით აქეთი ვაკე სახნავ მამულამდის. ამ სამზღვრებით ირიცხება ეს მამულები განუყოფელად სახლის-კაცებშია. და რომ ისიც მოგახსენოთ—თუ რა საარგებლო ადგილებია, მკითხველი დააფასებს არა ათასობით, არამედ ორასი ათასობითაც, და იქნება კარგის მფარველობით და გამგეობით, მილიონათაც.

ხსენებულს მამულს აქეს ყოველ გვარი ძვირფასი შენობის საჭირო ძალები, მშვენიერი და ძვირფასი ნაძვის, ფიჭვის, ცაცხვის, მუხის, თელის და სხვა ტყე; საშენებელ ქვისა და კირის მადანი; თვალ-გადუწდომელი ძვირფასი სათიბი და საბალახეები; სვა და სხვა გვარი ძვირფასი მადნის წყლები. ამას გარდა სოფლებით სავსეა ეს ხსენებული მთა. ერთის სიტყვით, მცოდნე კაცი თავის წონა ფულად დააფასებს ამ მთას.

მაგრამ რა გამოვიდა? უმეტეს ნაწილი მონაწილეთა გროშებსაც ვერას სარგებლობს!

ზამთარით დააწყობენ თურმე ის ექვსი პირნი-მონაწილეთაგანი სხვებთან პირობებსა ამ მთის სარგებლობაზე რადგან იციან, რომ ზათარში ვერვინ ვერას აკრებს. დანარჩენებიც მოტყუებათ შესთანხმდებიან და იქამდის იეშმაკებენ, რომ ყოველის შემოსავლის ასაკრებათ მონაწილეს ჩასაბარებლად თითონვე ამოერჩევიან; და თუ ვინმე არ დათანხმდა ამის ამორჩევაზედ მას სულაც არ ათხოვებენ. რა ქნან სხვა მვიდობიან მონაწილეთა, თუ ამ ამ უკეთურთ შაიკოსნების თანახმანი არ შეიქმნებიან? დასწერენ შინაურულს ხელ-წერილებს, რომ გაზაფხულზედ იწყობა საერთო მამულის შემოსავლის კრება. ეენიც მალობათ იდებენ თავსა და იწყობენ კრეფას პირველად სატიოს სალბაშებიდან (სალბაში არის ტიეზედ დაწესებული მემამულეს სასარგებლოდ ფულად გარდასახადი, თუმანზედ ორი მანეთი.)

ეს ხსენებული თუმანზედ ორი მანეთი სასალბაშოები, ყოველს გაზაფხულიდგან შემოდგომამდის აკრიბება თითქმის შვიდას თუმნობით; და ჯერ პირველად ეს პარტია ამითი აივსებს ჯიბეს. როდესაც ანგარიშის დრო მოვა, ნუ იფიქრებთ, რომ მონაძილეებმა ესენი ხელშიღა ჩაიგდონ; სხვა და სხვა მიზეზებს მოიყვანენ, რომ აი ეს-და-ამ დროს ვიანგარიშოთ და მიიღეთო ყველამო. და როცა დარწმუნდებიან, რომ სატიოზეც აღარა ეგულებათ-რა ასაკრები, შესხდებიან ცხენზედ და შუალამისას თრიალეთისაკენ მიდიან.

აქაც ჰკრებენ იქაურს შემოსავლებსა. როდესაც დაასრულებენ აკრებას და ჩამობრძანდებიან, ხურჯინის თვლებით აღვსილ ფულით, ყველით, ერბოთი და მატყლით, შუალამემდის სახლში არ მივლენ, რომ არაერინ დაგვინახონო და თავის წილ-კერძი არავინ მოგვთხოვონო.

ამნაირის მოქმედებით, დანარჩენ მონაწილეებს ისე გაუჭირდათ საქმე, რომ ზოგიერთი ამათგანი ჰფიქრობენ, მთავრობას ან სხვას ვისმე მიჰყიდონ და ეს საღავიდარაბო მამული ეს ძვირფასი, მაგრამ უსარგებლო მამული სრულებით მოიშორონ თავიდამ.

როგორ გვეტყობა აქაც, როგორც სხვა ბევრში, ჩვენი ქართველური უხეირობა?

ქართველი.

უცხოეთი

საფრანგეთი. რადიკალურ ამომრჩევლებმა პარიქის მე-5 უბნისა იდღესასწაულეს 21 ენკენისთვეს პირველ რესპუბლიკის დაარსების დღე. ლუი-ბლანმა წარმოსთქვა ბანკეტზე სიტყვა, რომელშიაც ვამოხატა რადიკალები და ოპორტიუნისტები. „რადიკალები, სთქვა მან, ბეჯითათ ჰკიდებენ ხელს საქმესაო. ოპორტიუნისტები კი დიდათ არ იტკენენ ფაფას და მსუბუქად ირჯებიან“. სხვათა შორის ლუი-ბლანი შეეხო ფრიად საყურადღებო და ღირსს რეფორმებს ეკლესიის განცალკევებას მმართებლობისაგან, სენატის გაუქმებას, ამორჩეულ მსაჯულთ დაწესებას და სხვა.

— რადიკალების დეპუტაცია, ლუი-ბლანის მეთაურობით, წარსდგა მინისტრ-პრეზიდენტთან ფულ-ფერისთან თხოვნით, რომ დაუჩქარონ პალატის შეკრებას, რადგანაც თუნისში საქმეები ვერ არიან კარგ მდგომარეობაშიო. მინისტრს უპასუხნია რომ პალატის შეკრება ეხლა არ შეიძლება და არც გარემოება თხოულობს ამას მაინც-და-მაინცო. პალატი შეიკრიბება 4 ოქტომბერს და არა ამაზე ადრეო, რადგანაც ადრინდულ წარმომადგენელთაც ამ რიცხვებში გაუვათ ვადაო.

— მმართებლობის მოწინააღმდეგე გაზეთები თხოულობენ ახლანდელ სამინისტროს გაუქმებას და იმის მაგივრად ფრეისინიეს სამინისტროს დანიშვნას.

ამერიკის შეერთებული შტატები.

გარფილდის უკანასკნელ წამებზე იწერებიან გაზეთებში: „10 მინუტი უკლდა 10 საათის შესრულებას, რომ ავათმყოფმა უეცრათ დაიძახა: „—ოხ, როგორი ტკივილი! ნუ თუ არაფერი მეშველება! ო, სუენ!“ (მისი მეგობარი, რომელიც გვერდით უჯდა). სანამ სანთელს მიუბრუნებდნენ, რომ ჩაეხედნათ პრეზიდენტისათვის, მან კიდევაც დაჰკარგა გრძნობა. მაჯა უნახეს—აღარ უცემდა. დაუძახეს ცოლს. ხმა-ამოუღებლათ მიუჯდა ის გვერდით თავის მამაკვდავ ქმარს და გამოართვა ხელი. ცრემლები ჩამოდიოდა ლოყებზედ. მეორე გვერდით იჯდა პატარა ქალი პრეზიდენტისა, რომელიც მწარეთ სტიროდა. წამლებზედ გაგზავნილი კაცი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო, რომ პრეზიდენტმა განუტევა სული.

„ანდერძი არ დაუტოვებია გარფილდს. იმას დარჩა 25,000 დოლარი და ამას გარდა 25,000 დოლარათ ჰქონდა თავის სიცოცხლე „უზრუნველ მყოფ საზოგადოებაში“ (სტრახში) შეტანილი“.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალეკიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ბელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქა-

ლების და უმაწვილების ავათმოოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმოოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცკი და მირიმანოვი შინაგან ავათმოოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავათმოოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტე ავათმოოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცკი—შინაგან ავათმოოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმოოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმოოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავათმოოფობისა; ლისიცკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმოოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმოოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმოოფობისა.

შაბათს. ლისიცკი—შინაგან ავათმოოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმოოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმოოფობისა.

განცხადებანი

ნაფიცი ვექილი
ალექსანდრე მირიანის-ძე
ჭყონია
ქ. ქუთაისში

მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ყველა სასამართლოებში, რომელნიც ექვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის ბალატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ სახლში. (4—1)

ვექილი ლებედინსკი

გარდაეიდა საპოლრის ქუჩაზედ ბაბანასოვის სახ. სამხედრო გიმნაზიის პირდაპირ. იღებს სასამართლო საქმეებს. (3—1)

იმ მოწაფეთა შორის, რომელნიც იყვნენ თბილისის გიმნაზიაში, ამ ჟამად, გიმნაზიის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობის გამო, აღიძრა აზრი მიეგებნენ ამ დღესასწაულს საამხანაგო სადილით, რომელიც დანიშნულია 29 ენკენისთვისათვის შუა დღის სამ საათზედ. სადილი (ქართულ საჭმლებისაგან შემდგარი) მუსიკით ეღირება ხუთი მან. თუ სად გაიმართება სადილი, ამაზედ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბილეთი ამ სადილია (5 მან. გადახდით) მიიღება მუდამ დღე გიმნაზიის შვეიცართან 9 საათიდამ დილისა 1 საათამდე. 27 ენკენისთვიდამ ბილეთები აღარ გაიცემა.

თ. დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძე,
ვასილ გრიგორის-ძე სარაჯიშვილი,
ივანე იაგორის-ძე ამირაგოვი,
ლევ ლევის-ძე მარკოვი,
თ. ეგნატე გიორგის-ძე თუმანიშვილი,
თ. ილია გრიგორის-ძე ჭავჭავაძე,
გრიგ ნიკოლოზის-ძე ბექხანოვი,
მიხეილ პეტრეს-ძე იაარლოვი,
კოსტანტ. მიხეილ.-ძე ბოლუბანსკი.
(3—2)

ქ. ქუთაისში

ახლათ გაღებულს ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეების ძაღაზიაში მიღებულია განსაკუთრებით ყოველ გვარი სამზღვარს გარეთის საქონლები, მაგალითებრ: კაცის, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ქუდები სხვა და სხვა ახალის მოდისა, პერანგები, კოვთები, მოსასხმელები, ბაღდადები, კასინკები, ხელთათმანები, წინდები, ქამრები, ოქროს ნივთები, ქალის უნაგირები ხაერდისა და ღორის ტყავისა, სტოლისა და ჩაის ჭურჭლები, ჭიქები, სარკეები, კრაოტები, სკამები, ლამპები, საუფეები. ბარფიუმერიიდგან: ვასალამაზებელი ორიზა და ჭორფლის წამალი ლე-ძანდეი, პუდრები ორიზა, ველუცინი და ანტეა. აგრეთვე ისყიდება სხვა და სხვა დუხები. ყოველი საქონელი 1-ის ხარისხია არის და ისყიდება უფრო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე რომ თითოეულის მანეთის საღირელს 25 კაპეიკამდის აკლებენ. (5—2)

ისყიდება

ბეჭანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით.
მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—3)

დოქტორი ბახუტოვი

ბადაეიდა სადოვის (ბაღის) ქუჩაზე, სოლოლაკზე, აფენდიევის სახლებში, № 56.

ავათმყოფებს—ქალებსა და უმაწვილებს—მიიღებს იმავე წესით, როგორც ადრე იღებდა ხოლმე.
(5—3)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** ბარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—20)

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეაში
(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
ხუთეულა 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქადაგდოა, სხვაგან კი ქადაგდით. (100—42)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ავლა-ვაკანი
მაკ-მას ფერი

აძაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბოამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასხობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ
(100—33)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგილას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ოფოდნოსები, ბირის-საბანი, კლიტეები, სამურკალი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დასები, კალმები, ქადალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ბლაშჩები, კასები, ქამრები, საუნურები, კლიონკა, უსაგირები, ლაგმები, უთოები, ტანტები, ბირისსოცი, ცხვირის-სასოცი, ჩულქები, ტუალეტის საბონი, დუსები, შარბათი, ციტმატაგსეზია, ქინას ღვინო, ბორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭარათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უბირველი სარისხი 2 მ.—წონა უქადაგდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.
(100—12)

თფილისის საგაკო I გიმნაზიის ბედაგოგიური რჩევა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ენკენისთვის 27-ს იქნება ამ გიმნაზიის 50 წლის არსებობის დღესასწაული (ლიუბილეი) და ამის გამო სთხოვს ყველა ამ გიმნაზიის ადრინდელ შაგირდებსა და აგრეთვე ყველას, ვინც განათლების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდეს დღესასწაულზე.

იმავე დღეს გიმნაზიის საალტო ზალაში გამართული იქნება ასი კაცისათვის სადილი ცალკე დაპატიჟებით.

28 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, გიმნაზიაში გამართული იქნება საუმაწვილო საღამო, რომელზედაც შაგირდების ძმობლები და ნათესავები იქნებიან დაპატიჟებულნი.
(5—4)

ამერიკელი კბილის ექიმი დოქტორი ი. ა. ვალტერი

რომელიც დიდის მთავრის დუნაიის—იქით არმიის მთავრისა განკარგულებით დანიშნული ვიყავი კბილის ავათმოოფობის კონსულტანტთა და მივიდე ორი წარჩინებული დიპლომი, მოვსულვარ თბილისში და ვიღებ კბილით ავათმოოფებს კბილების ჩასასმელად რბილ საგებზე უბრუყინოთ. რომელსაც არა ვრაცხ გამოსადეგრათ ვინაიდგან ბრუყინა უძლის რიგიანათ საჭმლის დაღეჭვას.

ჩემი ექიმობის მეტოდას სმარობენ კბილის ექიმები მთელ რუსეთში მარტო პეტერბურღში; და მოსკოვში და არა სადმე ბროვინციაში არავის ვურჩევ ისმარონ ჩანგლებიანი კბილები, მისთვის რომ ჩანგლები და კავშირები სტეეთავენ კბილებს, რაიცა შეეჭვლია, შეიშნული ექნებათ იმათ, ვისაც ისინი უხმარია.

კბილების მოგლეჯას არ ურჩევ ამისთვის რომ კბილების მოგლეჯა თუ გინდ ერთისაც ცუდათ მოქმედობს სხვა კბილებზე. ამისთვის სჯობს კბილის ოქროსი, პლატისასი ანუ მალანქრის ბლომბით გაკეთება მაქვს ასალი ჩემგან მოგონილი საშუალება რომელითაც შეიძლება დაიცვას კბილები წახდენისაგან და ტკივილისაგანაც. ეს საშუალება არის დამტკიცებული მედიცინის დეპარტამენტისაგან.

ნიმუშები: ახლად აღმოჩენილი შეზავებულ კბილებისა და ბლომბიროვსკები შეუძლიანთ ნახონ ჩემს კაბინეტში. ოთველს საქმეს შესახებ კბილების ავათმოოფობისა ვასრულებ 24 საათში:

ვიღეთ ავათმოოფებს დილის ათი საათიდგან საღამოს ექვს საათამდინ. ვცხოვრობ გალავინსკის ბროსპექტზედ შიოკვის სახლებში ს